

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
MINISTRY OF ECONOMY AND SUSTAINABLE DEVELOPMENT OF GEORGIA

საჯარო სამართლის
იურიდიული პირი
ტექნიკური და სამშენებლო
ზედამხედველობის სააგენტო



PUBLIC LAW LEGAL ENTITY
TECHNICAL AND CONSTRUCTION
SUPERVISION AGENCY

№ 198/01-21/3
444/01-21/3

GRASS
REFORMANDA

ააიპ „საქართველოს რეფორმების ასოციაცია“
წერილის რეგისტრაციის № 96
თარიღი: 27 03 2014 წ.

24 03 2014 წ.

ააიპ „საქართველოს რეფორმების ასოციაცია“-ს
წარმომადგენელს ბატონ სერგი კაპანაძეს

ბატონო სერგი,

თქვენი მ/წ 14 მარტის №207 განცხადების პასუხად გიგზავნით „ქალაქ ქუთაისში, საქართველოს პარლამენტის კომპლექსზე მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ“ სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს უფროსის 2013 წლის 28 ნოემბრის №102/01-06 ბრძანების ასლს და იმ დოკუმენტაციის ჩამონათვალს, რომლის საფუძველზე სააგენტოში განხორციელდა მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცედურა ქალაქ ქუთაისში, ირაკლი აბაშიძის გამზირზე მდებარე საქართველოს პარლამენტის მშენებლობადასრულებულ კომპლექსზე.

რაც შეეხება მშენებლობის ნებართვის გაცემის, სანებართვო პირობების შესრულებისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების პროცესს აღნიშნულს არეგულირებს „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილება.

დანართი:

1. მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანების ასლი - 1 ფურცელი;
2. შპს „სახელმწიფო მომსახურების ბიურო“-ს 19.11.13წ №0504 წერილი (განცხადება) - 2 ფურცელი;
3. უნებართვო მშენებლობაზე დაკისრებული ჯარიმის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი - 1 ფურცელი;
4. მშენებლობის ნებართვის მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი - 1 ფურცელი;
5. სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ საექსპერტო დასკვნები საქართველოს პარლამენტის კომპლექსში შემავალ პარლამენტის შენობის და ადმინისტრაციული შენობების მდგრადობაზე - 15 ფურცელი;
6. საქართველოს პარლამენტის კომპლექსში შემავალ ობიექტების საპროექტო დოკუმენტაციის (აზომვითი ნახაზების) ალბომების ჩამონათვალი - 1 ფურცელი;

პატივისცემით,
სააგენტოს უფროსი

გრიგოლ კაკაურიძე

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
MINISTRY OF ECONOMY AND SUSTAINABLE DEVELOPMENT OF GEORGIA

საჯარო სამართლის
იურიდიული პირი
ტექნიკური და სამშენებლო
ზედამხედველობის სააგენტო



PUBLIC LAW LEGAL ENTITY
TECHNICAL AND CONSTRUCTION
SUPERVISION AGENCY

ბრძანება № 102/01-06

თბილისი

28 11 2013 წ.


ქალაქ ქუთაისში, საქართველოს პარლამენტის კომპლექსზე მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ

„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 63-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად და 79-ე მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტების საფუძველზე

ვბრძანებ:

1. შეთანხმებულ იქნეს ქალაქ ქუთაისში, საქართველოს პარლამენტის კომპლექსის არქიტექტურული პროექტი.
2. გაიცეს მშენებლობის ნებართვა ქალაქ ქუთაისში, საქართველოს პარლამენტის კომპლექსზე.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრებულ იქნას მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში (ქ. თბილისი, გ. ჭავჭავაძის ქ.12).
4. ბრძანება ძალაში შედის მხარისთვის კანონით დადგენილი წესით გაცნობისთანავე.

საფუძველი:



1. შპს „სახელმწიფო მომსახურების ბიურო“-ს განცხადება (19.11.13წ №0504 წერილი).

სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების ნებართვების სამმართველოს უფროსის თენგიზ კოდუას მოხსენებითი ბარათი.

სააგენტოს უფროსი

გრიგოლ კაკაურიძე

შპს „სახელმწიფო მომსახურების ბიურო“
LTD "STATE SERVICE BUREAU"

№ 0504

" 19 " 11 2013 წ.

ეკონომიკის სამინისტროს

სსიპ „ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო“-ს

უფროსს გრიგოლ კაკაურიძეს

ბატონო გრიგოლ,

მშენებლობის ნებართვის მისაღებად წარმოგიდგენთ მშენებლობა-დამთავრებული ობიექტის (ქ. ქუთაისში საქართველოს პარლამენტის კომპლექსში შემაჯავლი შენობების) საპროექტო დოკუმენტაციას და მშენებლობის ნებართვის მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელ ქვითარს. კომპლექსის მშენებლობის ღირებულება შეადგენს 318 480 481,24 (სამას თვრამეტი მილიონ ოთხას ოთხმოცი ათას ოთხას ოთხმოცდაერთ ლარს და ოცდაოთხ თეთრს) ლარს (ავეჯის ღირებულების ჩაუთვლელად).

წერილს დანართის სახით თან ერთვის:

- 1) მშენებლობის ნებართვის მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი;
- 2) ესპანური კომპანია "CMD DOMINGO Y LAZARO INGENIEROS" მიერ დამუშავებული საპროექტო დოკუმენტაცია.
 - ა) ~~სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს~~ არქიტექტურული და კონსტრუქციული პროექტი ალბომის სახით - 3 ეგზემპლარი.

ბ) პარლამენტის ~~ადმინისტრაციული შენობის~~ და ~~სამშენაობათა~~ არქიტექტურული და კონსტრუქციული პროექტი ალბომის სახით - 3 ეგზემპლარი.

3) აზომვითი ნახაზები ფაქტობრივი მდგომარეობის მიხედვით:

ა) განმარტებითი ბარათი, გენგეგმა და ტოპოგეგმა ფაქტობრივი მდგომარეობის მიხედვით ალბომის სახით - 3 ეგზემპლარი.

ბ) ~~პარლამენტის შენობის~~ ფაქტობრივი მდგომარეობის ანაზომი ალბომის სახით - 3 ეგზემპლარი.

გ) პარლამენტის ~~ადმინისტრაციული შენობის~~ ფაქტობრივი მდგომარეობის ანაზომი ალბომის სახით - 3 ეგზემპლარი.

დ) ~~სამშენაობათა~~ ფაქტობრივი მდგომარეობის ანაზომი ალბომის სახით - 3 ეგზემპლარი.

4) სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ საქმიანობის დასკვნები:

ა) პარლამენტის შენობის კონსტრუქციულ პროექტზე;

ბ) ადმინისტრაციული შენობის კონსტრუქციულ პროექტზე;

გ) პარლამენტის შენობის მდგრადობაზე;

დ) ადმინისტრაციული შენობის მდგრადობაზე;

5) ამონაწერი საჯარო რეესტრიდან და საკადასტრო რუკა.

6) წარმოდგენილი საპროექტო დოკუმენტაციის ელ-ვერსია - 2 ცალი CD დისკი.

პატივისცემით,

დირექტორი

ზვიად გონაძე

საგადასახადო დავალება #

Payment Order

ს.ს. "თიბისი ბანკი"

თარიღი
Date 24/09/2013

გადამხდელის სახელი

Sender

თანხა ციფრებით
Amount in figures

ანგარიში (დებეტი)
Sender's Acc.

GEL

გადამხდელის ბანკი

Sender's Bank

ბანკის კოდი Bank Code

თანხა სიტყვიერად
Amount in words

ოცდაშვიდი ათასი
ლარი 00 თეთრი

ივსება მხოლოდ სახელმწიფო ხაზინაში გადახდების დროს

გადასახადის გადამხდელის
დასახელება

საიდენტიფიკაციო კოდი

Sender's Tax Code

საბიუჯეტო შემოსავლის სახაზ. კოდი

მიმღების დასახელება

Receiver

ანგარიში (კრედიტი)
Receiver's Acc.

მიმღების ბანკი

Receiver's Bank

ბანკის კოდი Bank Code

გადახდის დანიშნულება

Operation Details

დამატებითი ინფორმაცია

Additional Information


ბანკის აღნიშვნები

ბანკის
შემოსვლის
თარიღი

24/09/2013

ხელმოწერა

ხელმოწერა/Signature



საგადასახადო დავალება #

Payment Order

ს.ს. "თიბისი ბანკი"

თარიღი
Date 18/11/2013

გადამხდელის სახელი

Sender

თანხა ციფრებით
Amount in figures

შპს სახელმწიფო მომსახურების ბიურო, 404389372

GEL

ანგარიში (დებეტი)
Sender's Acc.

გადამხდელის ბანკი
Sender's Bank ბანკის კოდი Bank Code

თანხა სიტყვიერად
Amount in words

ქ.თბილისი, სს თიბისი ბანკის სათაო ბანკი

ორმოცდათხუთმეტი
ათას
რვასორმოცდარვა
ლარი 05 თეთრი

ივსება მხოლოდ სახელმწიფო ხაზინაში გადახდების დროს

გადასახადის გადამხდელის
დასახელება

საიდენტიფიკაციო კოდი
Sender's Tax Code საბიუჯეტო შემოსავლის სახაზ. კოდი

ბანკის აღნიშვნები

მიმღების დასახელება
ბიუჯეტის შემოსულობების ერთიანი ანგარიში (არასაგადასახადო შემოსულობები/
ანგარიში (კრედიტი)
Receiver's Acc.

ბანკის
შემოსვლის
თარიღი

18/11/2013

მიმღების ბანკი
Receiver's Bank ბანკის კოდი Bank Code

ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური

Operation Details

გადახდის დანიშნულება
მოსაკრებელი განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების, მათ შორის
რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობის ნებართვაზე

ხელმოწერა

დამატებითი ინფორმაცია
Additional Information



ხელმოწერა/Signature



ლევან სამხარაულის სახელობის
სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო
LEVAN SAMKHARAU LI NATIONAL FORENSICS BUREAU

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW

№

5004097413

201 წ.

07.10.2013



შპს სახელმწიფო მომსახურების ბიურო-ს დირექტორს
ბატონ ზვიად გონაძეს

ბატონო ზვიად,

ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო, თქვენი 2013 წლის 13
ოქტომბრის მომართვის (ბიუროს რეგისტრაციის N1003079413) საფუძველზე, გიგზავნით საინჟინრო
ექსპერტიზის N004432013 დასკვნას.

დანართი:

ექსპერტის დასკვნა 06 ფურცლად;

საპროექტო დოკუმენტაცია - 1 ფურცელი

პატივისცემით,

გიორგი ხიზანიშვილი
ბიუროს უფროსი



004493113

ექსპერტის დასკვნა № 004493113

გაფრთხილება

დეპარტამენტების უფროსების მიერ განგვემარტა ექსპერტის უფლება-მოვალეობები, რაც გათვალისწინებულია საქართველოს საბოქალაქო საპროცესო კოდექსის 168-ე და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 51-ე და 52-ე მუხლებით. ამასთან, ცრუ ჩვენების, ყალბი დასკვნის, საექსპერტო კვლევის ობიექტის დაუცველობისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ გაფრთხილებულები ვარ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლის შესაბამისად.

ექსპერტიზის ჩატარების საფუძველი

ექსპერტიზის სახეობა: საინჟინრო ექსპერტიზა;

დამნიშნავი :

ორგანიზაცია: შპს სახელმწიფო მომსახურების ბიურო

თანამდებობა: დირექტორი

მისამართი:

სახელი და გვარი: ზვიად გონაძე

საფუძველი: განცხადება

შემსრულებელი ექსპერტები :

ირაკლი ურუშაძე / კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკის, სეისმომედეგობის და საინჟინრო ექსპერტიზის ცენტრი (დეპარტამენტი)ს სამშენებლო მექანიკისა და ნაგებობათა სეისმომედეგობის სამმართველოს ექსპერტი, სპეციალობით მუშაობის 6 წლის სტაჟით.

ალექსანდრე კაიფანჯიანი / კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკის, სეისმომედეგობის და საინჟინრო ექსპერტიზის ცენტრი (დეპარტამენტი)ს სამშენებლო მექანიკისა და ნაგებობათა სეისმომედეგობის სამმართველოს ექსპერტი, სპეციალობით მუშაობის 6 წლის სტაჟით.

ექსპერტიზის წინაშე დასმული კითხვები


შეკითხვები ატვირთულია


შემოსვლის თარიღი: 13.06.2013წ

გასვლის თარიღი: 07.10.2013წ

დასკვნა

ქ. ქუთაისში, პარლამენტის შენობის შიდა კარკასის მზიდი ნაწილი და ასევე გუმბათის კონსტრუქცია, ევროპული ნორმების (ევროკოდების) მიხედვით გაანგარიშების საფუძველზე, აკმაყოფილებს მდგრადობის და სიხისტის პირობებს.

ირაკლი ურუშაძე 

ალექსანდრე კაიფანჯიანი 

გამოკვლევა

ექსპერტიზაზე წარმოდგენილია ქ. ქუთაისში საქართველოს პარლამენტის შენობის პროექტი და გაანგარიშების შედეგების



004493113

ექსპერტის დასკვნა № 004493113

პროგრამა შეიქმნა იმის გამო რომ, იგი მეტად მოიცავს ევროპული ნორმებით ანგარიშის ჩატარების შესაძლებლობას, ვიდრე საქართველოში გავრცელებული სხვა პროგრამები, ასევე ამ პროგრამით მოხდა პროექტის ავტორების მიერ შენობის ანგარიში.

პარლამენტის შიდა ლითონის კარკასის საანგარიშო სქემა წარმოდგენილია ფოტო #1 და ფოტო #2-ზე. იგი შესრულებულია ლითონის ფართოთაროიანი პროფილებით, EN53-62-ის მიხედვით. გამოყენებული პროფილების ზომები განსხვავებულია, მათში ძალიანია ფაქტორების მიხედვით. შიდა შენობა წარმოადგენს ნაკერით გამოყოფილ 4 ბლოკიან ლითონის კარკასულ ნაგებობას კავშირებით. კავშირები განლაგებულია ძირითადად კიბის უჯრედებში და შესრულებულია ასევე ორტესებრი, ფართოთაროიანი, პროფილებით. ჩვენს მიერ მოხდა ძირითადი 1 და 2 ბლოკების ანგარიში (დანარჩენი ორი ბლოკი უფრო მცირე ზომისაა და იგივე კვეთებისგან შედგება, რის გამოც მისი გაანგარიშება არ მოხდა), რომელიც მოიცავს სხდომათა დარბაზს (დიდმალიან გადახურვებს შესრულებულს ორტესებრი სივრცითი ფერმებით) და ძირითად შენობას სამუშაო ოთახებით და სხვადასხვა მცირე ზომის დარბაზით. ბლოკი #1-ის საანგარიშო სქემა ნაჩვენებია ფოტო #1-ზე, ხოლო ბლოკი #2 - ფოტო #2-ზე. საანგარიშო სქემაში რკინაბეტონის გადახურვა მოდელირებულია ფირფიტოვანი ელემენტებით, რომლებზეც ხდება წარმოდგენილი, განმარტებით ბარათში მითითებული დატვირთვების განაწილება. შიდა შენობა გაანგარიშებულია სტატიკურ და დინამიკურ (სეისმურ) ზემოქმედებაზე. გაანგარიშებით დადგინდა, რომ შენობის მზიდი ლითონის კარკასი აკმაყოფილებს სიმტკიცის და მდგრადობის პირობებს.

პარლამენტის შენობის გარე, სივრცითი გუმბათი, აიგო მოწოდებული ელექტრონული სამგანზომილებიანი მოდელის მიხედვით. საანგარიშო სქემაში გამოყენებულია ადგილზე აზომილი მილის კვეთები, წარმოდგენილ პროექტში მოცემულ სორტამენტებზე დაყრდნობით. აღნიშნული გუმბათის მზიდი ნაწილი შედგება განივი, მილებით შედგენილი, თაღოვანი ფერმებით რომლებიც გრძივი მიმართულებით შეკრულია მილებით შედგენილი დამაკავშირებელი ფერმით. გუმბათში, მის საყრდენ ზოლთან, სივრცითი ფერმაში სამკუთხა კავშირების სისტემაა. ასევე გუმბათზე მოწყობილია დეკორატიული ლილვის ფორმის თაღი, რომელიც ქმნის ძირითად ფერმებზე დამატებით სარტყელს. აღნიშნული გეომეტრია სრულად იქნა აგებული SAP2000 მოდელში და მოხდა მისი გაანგარიშება, წარმოდგენილ განმარტებით ბარათში მოცემული დატვირთვების მიხედვით, სტატიკურ და დინამიკურ დატვირთვებზე. საანგარიშო მოდელი და ასევე გუმბათის ძირითადი, საყრდენი თაღოვანი ფერმის კვეთი მოცემულია ფოტო #3 და ფოტო #4-ზე. ანგარიშის მიხედვით დადგინდა, რომ პროექტში მოცემული გუმბათის კონსტრუქციის, ლითონის კვეთები აკმაყოფილებს მდგრადობის და სიმტკიცის პირობებს. ისევე როგორც შიდა შენობის შემთხვევაში, გუმბათის გაანგარიშება მოხდა ევროკოდების გამოყენებით.

უნდა აღინიშნოს, რომ სივრცით ანგარიშში როგორც შიდა ასევე გუმბათის ცალკეული ელემენტები, პროგრამამ ზღვარზე ან გადამაბული კვეთებით აღნიშნა, თუმცა ჩვენს მიერ მოხდა აღნიშნული ელემენტების გადამოწმება ძალვათა შეხამებებით სიმტკიცეზე პროგრამა "SCAD-SOFT"-ში, რამაც აჩვენა რომ ელემენტებს გააჩნდა სიმტკიცის მარაგი. ასევე შიდა ბლოკების დიაფრაგმები პროგრამის მიხედვით ვერ აკმაყოფილებდა სიბრტყიდან მდგრადობის პირობებს, თუმცა ადგილზე აღნიშნული დიაფრაგმები მოწყობილია კიბის უჯრედებში და საკომუნიკაციო შახტებში, დიაფრაგმების ცარიელი სივრცეები ძირითად შემთხვევაში შევსებულია საკედლე ბლოკის წყობით ან გამაგრებულია კიბის უჯრედის ბაქნებით, რის გამოც ხსენებული დიაფრაგმების მდგრადობა უზრუნველყოფილია.

ამრიგად, ქ. ქუთაისში, პარლამენტის შენობის შიდა კარკასის მზიდი ნაწილი და ასევე გუმბათის კონსტრუქცია აკმაყოფილებს მდგრადობის და სიხისტის პირობებს, ისინი გაანგარიშებულია ევროპული ნორმების გამოყენებით, საქართველოში მოქმედ ნორმებში მითითებული დატვირთვების მნიშვნელობებით.

ირაკლი ურუშაძე

ალექსანდრე კაიფანჯიანი

გამოყენებული მასალები

საქართველოს პარლამენტის შენობის ფუნდამენტის პროექტი, ივლისი 2010, 1 ალბომი



004493113

ექსპერტის დასკვნა № 004493113

საქართველოს პარლამენტის შენობის ფუნდამენტის და სტრუქტურის პროექტი, ოქტომბერი 2010, 1 ალბომი

საქართველოს პარლამენტის შენობის ფუნდამენტის პროექტი, ოქტომბერი 2010, 1 ალბომი

საქართველოს პარლამენტის შენობის სტრუქტურის პროექტი, ოქტომბერი 2010, 1 ალბომი

საქართველოს პარლამენტის შენობის არქიტექტურული პროექტი, 1 ალბომი

Eurocode 0 (1990-1-2002) – ძირითადი ნაწილი შენობების პროექტირებისთვის.

Eurocode 1 (1991-1-1:2002) – დატვირთვები სტრუქტურებზე.

Eurocode 2 (1992-1-1:2004) – ბეტონის კონსტრუქციების პროექტირება.

Eurocode 3 (1993-1-1:2004) – ლითონის კონსტრუქციის პროექტირება

Eurocode 8 (1998-1:2004) – შენობების პროექტირება სეისმურ რეგიონებში.

ექსპერტის დასკვნა ტექნიკური წესით გადაამოწმა: ზაზა ყიფიანი


ექსპერტის დასკვნა ადმინისტრაციული წესით გადაამოწმა: ზადრი ლეფსაია




004493113

ექსპერტის დასკვნა № 004493113

ფოტოილუსტრაცია



ფოტო 1 - შიდა შენობა, ბლოკი #1. საანგარიშო მოდელი




ფოტო 2 - შიდა შენობა, ბლოკი #2. საანგარიშო მოდელი




004493113

ექსპერტის დასკვნა № 004493113



ფოტო 3 - გუმბათის საანგარიშო სექმა



ფოტო 4 - გუმბათის ძირითადი თაღოვანი ფერმა



ლევან სამხარაულის სახელობის
სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო
LEVAN SAMKHARAULI NATIONAL FORENSICS BUREAU

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW

№-039136-2012
20 12 2013წ.

შპს "სახელმწიფო მომსახურების ბიუროს"
დირექტორს დავით კაკაურიძეს

ბატონო დავით,

ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო,
თქვენი 2012 წლის 22 ოქტომბრის #0860 მომართვის საფუძველზე, გიგზავნით
საინჟინრო ექსპერტიზის #046495-2012/03/2 დასკვნას.

დანართი: ექსპერტების დასკვნა - 9 ფურცელზე
საპროექტო დოკუმენტაცია - 1 ფურცელი

პატივისცემით,
გიორგი ხიზანიშვილი
ბიუროს უფროსი

შემოსვლის თარიღი: 22 ოქტომბერი 2012 წ.

გასვლის თარიღი: 20 დეკემბერი 2012 წ.

ქ. ქუთაისში, პარლამენტის ადმინისტრაციის შენობის კონსტრუქციული პროექტის შესწავლის შემდეგ დადგინდა, რომ პროექტი პასუხობს მდგრადობის პირობებს. არის მცირე შეუსაბამოები სტრუქტურულ განგარიშებასთან და ტექნიკური შენარჩუნების, რომლებიც ლოკალური ხასიათისაა, არ მოქმედებენ მთლიანი შენობის მდგრადობაზე და შესაძლებელია მათი გამოსწორება. შენობა, პროექტის მიხედვით განხორციელების შემთხვევაში, დააკმაყოფილებს მდგრადობის პირობებს.

ექსპერტები:

[Handwritten signature]

გ. ბერიძე

[Handwritten signature]

ი. ურუშაძე

კვლევა-გამოკვლევა

~~ექსპერტიზით განიხილება ქ. ქუთაისში, პარლამენტის ადმინისტრაციის შენობის მდგრადობის საკითხი რატაციონალური წინადადებას როგორც შენობის ტექნიკური მდგომარეობის გამოკვლევას ასევე საპროექტო დოკუმენტაციის შემოწმებას. იქიდან გამომდინარე, რომ ექსპერტიზის პერიოდში, შენობის მზიდი კონსტრუქციები დაფარულია მოსაპირკეთებელი მასალით და შენობა ფუნქციონირებს, ვერ მოხერხდა შენობის დეტალური გამოკვლევა. ამიტომ შესწავლილი იქნა პროექტის კონსტრუქციული ნაწილი, სტრუქტურული განგარიშების ელექტრონულ ვერსიასთან ერთად.~~

ადმინისტრაციის შენობა წარმოადგენს 3-4 სართულიან რკინაბეტონის კარკასულ ნაგებობას, გაყოფილს 7 ბლოკად. აღნიშნული შენობა დაფუძნებულია რკინაბეტონის მონოლითური ფილაზე, რომლის ქვეშ ეწყობა 1,5მ სისქის მჭლე ბეტონის ბალიში, შენობის საყრდენ ფუძეს წარმოადგენს ხრეში, მსხვილი ფრაქციის (თანახმად წარმოდგენილი გეოლოგიური კვლევისა).

შენობის კარკასი წარმოდგენილია მონოლითური სვეტებით და დიაფრამებით, შენობის სართულშუა გადახურვა შესრულებულია 30 სმ სისქის მონოლითური ურიგელო ფილებით (კონსტრუქციულ წიბოებით) სამშენებლო ტერიტორია ხასიათდება შემდეგი კლიმატური პირობებით:

ქარის სიჩქარე - 39 მ/წმ

თოვლის დატვირთვა - 50 კგ/მ².

სეისმურობა 8 ბალი.

საანგარიშო სქემა აგებულია პროგრამა „ლირა“-ს გამოყენებით. მოდელი წარმოდგენილია 7 ფაილის სახით (ბლოკების შესაბამისად). ფუძის მოდელირებისთვის გამოყენებულია გრუნტის მასივის მოდელი აგებული „ლირა გრუნტ“-ში, გეოლოგიური კვლევის და 1.5მ სისქის მჭლე ბეტონის ბალიშის ფიზიკურ-მექანიკური პარამეტრების მითითებით. აღნიშნული პროგრამით ავტომატურად გაანგარიშებულია საგების კოეფიციენტები საძირკვლის ფილის ძირზე. საანგარიშო მოდელში გათვალისწინებულია შემდეგი საანგარიშო დატვირთვები:

| | მუდმივი | ხანგრძლივი | დროებითი |
|-------------|--|------------------------|------------------------|
| I სართული | საკუთარი წონა + 500 კგ/სმ ² | 100 კგ/სმ ² | 240 კგ/სმ ² |
| II სართული | საკუთარი წონა + 300 კგ/სმ ² | 100 კგ/სმ ² | 240 კგ/სმ ² |
| III სართული | საკუთარი წონა + 250 კგ/სმ ² | 100 კგ/სმ ² | 70 კგ/სმ ² |

საანგარიშო მოდელში გამოყენებულია B25 კლასის ბეტონის მონაცემები. საყრდენ კედლებზე სარდაფის დონეში გათვალისწინებულია გრუნტის დაწოლა მუდმივი დატვირთვის სახით.


საანგარიშო მოდელი შესრულებულია დამაკმაყოფილებელ დონეზე, თუმცა გაგვაჩნია რამოდენიმე შენიშვნა:

- 1) სეისმურ დატვირთვებში კოეფიციენტი K1 (ცხრილი 4) მიღებულია პუნქტი #1-ის სახით ნაცვლად პუნქტი #2-ისა.
- 2) ურიგელო გადახურვის კვანძებში, სვეტის და ფილის შეერთების მოდელირებისთვის სასურველია გათვალისწინებული ყოფილიყო აბსოლიტურად ხისტი ელემენტები (Городецкий - Расчет и проектирование конструкций высотных зданий из монолитного жб თავი 3; Городецкий - Компьютерные модели конструкций თავი 4.1).
- 3) დახრილ ფილებში არათანწყობილია ფილის სასრული ელემენტის ლოკალური ღერძები, რაც იწვევს არმირების იზოპოლიებში X და Y მიმართულებების არევას.

ექსპერტიზაზე მოხდა საანგარიშო მოდელის გაანგარიშება და რკინაბეტონის ელემენტების არმირების შედარება კონსტრუქციულ პროექტში დამუშავებულ დეტალებთან. არმირება მოხდა პროგრამა „ლირა არმ“-ის გამოყენებით B30 კლასის ბეტონის და A500 კლასის არმატურის მითითებით. დამცავი შრეები არმირებაში მითითებულია თანახმად კონსტრუქციულ პროექტში მოცემულისა, სვეტების საანგარიშო სიგრძე მიღებულია 0.7H, თანახმად СНиП 2.03.01-84, პუნქტი 5.25. აღნიშნული ანალიზის შემდეგ გაგვაჩნია შემდეგი შენიშვნები:


- 1) არმირება მონოლითურ სვეტებში ნიშნულზე 139,08-142,28 არასაკმარისია: პროექტში მითითებულია 12Ø16 = 24.13 სმ², ანგარიშით კი საჭიროა: სვეტი TC13, ღერძზე BX28 - 25 სმ²; სვეტი TC13, ღერძზე BX29 - 26.1 სმ²; სვეტი TC13, ღერძზე BX35 - 25.9 სმ²; სვეტი TC13, ღერძზე BX36 - 26.6 სმ²; სვეტი TC13, ღერძზე BX37 - 25.6 სმ²; სვეტი TC13, ღერძზე BX38 - 24.8 სმ² (სურ 1).

სურ 2




სურ 2:
 2) ფილტვის აბრეშა 135.28 ნიშნულზე დასრულებულია, ზედა შრის აბრეშის
 მხედვით საქონის 9,14 სმ, კოეფიციენტი მოცემულია 5,65 სმ (Ø12 ხოლო 200), იხილეთ

სურ 1




3) ფილის არმირება 139,08 ნიშნულზე AX+09, AX+10, AX+11, AX+12, AX+13, ზედა შრის არმატურა ანგარიშის მიხედვით საჭიროა 25.9 სმ², პროექტში მოცემულია 21.36 სმ² ($4\varnothing 12 \varnothing 200 + \varnothing 20 \varnothing 200 = 5,65 + 15,71$). საჭიროა აღნიშნულ უბნებში ფილის ხვერდების გაძლიერება. იხილეთ სურ 3




სურ 3

4) არმირება სვეტებში 139,08+142,28 არასაკმარისია, პროექტში AX+09, AX+10, AX+11 მოცემულია $4\varnothing 16 + 4\varnothing 12 = 8,04 + 4,52 = 12,56$ სმ², ანგარიშით საჭიროა AX+09 - 13,0 სმ², AX+10 - 13,1 სმ², AX+11 - 12,8 სმ² (სურ 4).





სურ 4

- 5) ფილის არმირება 142,88 ნიშნულზე ღერებში AX+03-AX+04 ზედა შრეს არმირებაში პროექტი მოცემულია 7,54 სმ²(Ø12 ბიჯი 150), გაანგარიშებით საჭიროა 8,69 სმ² (სურ 5).



სურ 5

- 6) მონოლითური ფილაში 131,64+146,68 ნიშნულზე მაღში BX+64-BX+65 ქვედა შრის არმირება პროექტი მოცემულია 7,54 სმ²(Ø12 ბიჯი 150), გაანგარიშებით საჭიროა 9+12,7 სმ² (სურ 6).



სურ 6

კონსტრუქციულ პროექტთან გაგვაჩნია შემდეგი შენიშვნები:

- 1) განმარტებით ბარათში წარმოდგენილი გრუნტის ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლები არ შეესაბამება გეოლოგიურ კვლევაში მოცემულს.
- 2) განმარტებით ბარათში არ არის წარმოდგენილი ჰიდროიზოლაცია.
- 3) შენობა წარმოდგენილ ანგარიშში გაჭრილია საძირკველის ფილის ჩათვლით, ხოლო კონსტრუქციულ პროექტში, მხოლოდ სართულშუა დონეებში.
- 4) რკინაბეტონის საძირკველი, მონოლითური კედლები და გადახურვის ფილები უნდა იყოს გაჭრილი ტემპერატურულ შეკლებითი ნაკერით. გაუჭრელი კონსტრუქცია საჭიროა გაანგარიშებული იყოს, დამატებით, ბეტონის შეკლების დატვირთვაზე (რომელიც არ არის მოცემული საანგარიშო მოდელებში).
- 5) არ არის წარმოდგენილი ქვაბულის ნახაზი.
- 6) საძირკველებში დამატებითი ბადეები გარე პერიმეტრთან უნდა იყოს ჩაანკერებული ბეტონში.
- 7) „ამკ“-ს კონსტრუქციას აკლია შემაერთებელი კაუჩები.
- 8) ყველა დაღუნული არმატურა უნდა იყოს დეტალების უწყისში წარმოდგენილი ესკიზის სახით. ზოგიერთი არმატურის დეტალი გამორჩენილია. მაგალითად „ამკ“-ს ტიპის კონსტრუქციაში.
- 9) კედლებში შემაერთებელი არმატურის ბიჯი მიღებულია 750, სასურველია მიღებული იქნეს არაუმეტეს 600 მმ.
- 10) მკ-1, მკ-5, მკ-3 კონსტრუქციებში კედლის სისქის ზომა გამორჩენილია, ფურცელი F-34.
- 11) კედლების თავზე ნაჩვენებია სარტყელები, რომლებიც კედლებს არ სჭირდებათ. ამავე არმირებისას სასურველია ვერტიკალური კედლის არმირება და ფილების არმირება კედლებში იყოს გადაანკერებული, გადადების პრინციპით.
- 12) ყველა სვეტის არმატურა უნდა იყოს დაანკერებული რიგელში ან ფილაში СНиП 2.03.01-84 მოთხოვნების დაცვით.
- 13) სვეტებში არმატურა, რომელიც სრულდება პირგადადებით გადადების სიგრძე უნდა აკმაყოფილებდეს СНиП 2.03.01-84* მოთხოვნებს და გადადება უნდა შესრულდეს სხვადასხვა დონეზე არაუმეტეს 50% ერთ სიბრტყეში და არა მთლიანად ნაშვრების მთელ სიგრძეზე როგორც პროექტშია (მაგალითად ფურცელი F-43).
- 14) ფურცელი S-9, S-10 ღერძებში BX19+BX21 აკლია მარკირება ღიობების გაძლიერების ადგილას. ღიობების ფარგლებში მუშა არმატურა უნდა დაანკერდეს ბეტონში.
- 15) ფურცელი S-24, S-25, S-29, S-30 BX34 ღერძთან მიმდებარე ფილაში ღიობი მოითხოვს გაძლიერებას.
- 16) გადახურვის ფილებში კვეთი ა-ა სასურველია არმატურის ჩაღუნვის მაგივრად გამოყენებული იქნეს ჩანგალი რომელიც დაანკერებს ზედა და ქვედა არმირებას.
- 17) ფურცელი S-40 სართულშუა კიბის ბაქნის ნიშნული ჭრილებში 3-3, 4-4 არ შეესაბამება ერთმანეთს.
- 18) ფურცელი S-38, 39, 40, 41. კიბეებში რომლის სიგანე - 2.6 მ. ჰორიზონტალური არმატურა მიღებულია $\varnothing 16 - A500$ ბ-400 არმირება გადაჭარბებულია.
- 19) სვეტების და რიგელების კვანძი ყველა მონაკვეთში უნდა გაძლიერდეს დამატებითი საკიდებით.
- 20) პროექტში არ არის წარმოდგენილი არმატურის სპეციფიკაციები და ბეტონის ხარჯი ცალკეული კონსტრუქციებისთვის.
- 21) არ არის წარმოდგენილი მასალების ამოკრეფა და საერთო ხარჯი.
- 22) კიბის ელემენტების პირაპირ შეერთება არასრულყოფილია. არ არის წარმოდგენილი კიბეების საყრდენი კონსტრუქციები. არ არის წარმოდგენილი კიბის სამაგრი

ჩასატანებელი დეტალები, რომელიც უნდა იყოს მოცემული რიგელის არმირებასთან ერთად. არ არის წარმოდგენილი ლითონის კიბის ჩამაგრების კვანძები. კიბის კონსტრუქცია ვერ იკითხება, ვინაიდან არ არის მოცემული კონსტრუქციის პროფილის ზომები.

23) არ არის წარმოდგენილი კედლების და ტიხრების ჩამაგრების კვანძები.

24) პროექტში არ არის აღნიშნული შედუღების ელექტოდის ტიპი და სახსტანდარტი.

ამრიგად, ქ. ქუთაისში, პარლამენტის ადმინისტრაციის შენობის კონსტრუქციული პროექტის შესწავლის შემდეგ დადგინდა, რომ პროექტი ვასუბობს მდგრადობის პირობებს. არის მცირე შეუსაბამობები სტრუქტურულ გაანგარიშებასთან და ტექნიკური შენიშვნები, რომლებიც ლოკალური ხასიათისაა, არ მოქმედებენ მთლიანი შენობის მდგრადობაზე და შესაძლებელია მათი გამოსწორება. შენობა, პროექტის მიხედვით განხროციელების შემთხვევაში დააკმაყოფილებს მდგრადობის პირობებს.

კვლევაში გამოყენებული საქმის მასალები

ქუთაისის პარლამენტის ადმინისტრაციის შენობის კონსტრუქციული პროექტი.

ქუთაისის პარლამენტის ადმინისტრაციის შენობის არქიტექტურული პროექტი.

ქუთაისის პარლამენტის ადმინისტრაციის შენობის სტრუქტურული გაანგარიშების ელექტრონული ვერსიები.

ქუთაისის პარლამენტის ადმინისტრაციის შენობის მშენებლობის ფარული სამუშაოების აქტები.

გამოყენებული (ლიტერატურა, სტანდარტები, რეგლამენტები. . . .)

პნ 01.05-08 - „სამშენებლო კლიმატოლოგია“

პნ 01.01-09 - “სეისმურ რაიონებში მშენებლობა”

СНиП II-7-81 - “სეისმურ რაიონებში მშენებლობა”

СНиП 2.01.07-85* – დატვირთვები და ზემოქმედებები

СНиП 2.03.01-84 - ბეტონის და რკინაბეტონის კონსტრუქციები

Городецкий - Расчет и проектирование конструкций высотных зданий из монолитного жб-рკინაბეტონის მონოლითური მაღლივი შენობების დაპროექტების და გაანგარიშების თავისებურებები.

Городецкий - Компьютерные модели конструкций - კონსტრუქციის კომპიუტერული მოდელები.

ექსპერტები:

გ. ბერიძე

ი.ურუშაძე

საქართველოს პარლამენტის კომპლექსში შემავალ ობიექტების საპროექტო დოკუმენტაციის
(აზომვითი ნახაზების) ჩამონათვალი :

1. ალბომი

„საქართველოს პარლამენტი.

ქ. ქუთაისი, ირ. აბაშიძის გამზირზე მდებარე საქართველოს პარლამენტის
ახალი შენობის ფაქტიური მდგომარეობის ანაზომი

განმარტებითი ბარათი
გენგეგმა ტოპოგეგმა”

2. ალბომი

„საქართველოს პარლამენტი.

ქ. ქუთაისი, ირ. აბაშიძის გამზირზე მდებარე საქართველოს პარლამენტის
ახალი შენობის ფაქტიური მდგომარეობის ანაზომი ”

3. ალბომი

„საქართველოს პარლამენტის ადმინისტრაციის შენობა.

ქ. ქუთაისი, ირ. აბაშიძის გამზირზე მდებარე საქართველოს პარლამენტის
ადმინისტრაციის შენობის ფაქტიური მდგომარეობის ანაზომი”



ქ. რ. შ. შ. შ.
შეგიძლიათ შევუთავაზოთ
საგარეო ინფორმაციის განყოფილებაში
მუშაობის შესახებ
12.03.14.

საგარეო ინფორმაციის განყოფილებაში მუშაობის შესახებ

საქართველოს საგარეო ინფორმაციის სააგენტოს ვებგვერდი №37-ე მუხლის თანახმად, ამავე კოდექსის 39-40 მუხლით დადგენილ ვადებში, გთხოვთ მოგვწოდოთ შემდეგი სახის საგარეო ინფორმაცია:

- 2013 წლის 28 ნოემბრის #102/01-06 ბრძანება კვლავ ქუთაისში, საქართველოს პარლამენტის კომპლექსზე მშენებლობის შედეგების გაცემის შესახებ;
- კონკრეტული დოკუმენტები, რომლებიც წარმოადგენს იქნა თქვენს სააგენტოში და რომელთა საფუძველზე აღნიშნული შედეგები გაცივით?
- რა ვადებზე დადგენილი აღნიშნული შედეგების ექსპლუატაციაში მისაღებად?
- როგორ ხორციელდება V კლასის შენობაზე მშენებლობის შედეგების გაცემა იქნის ქვეყნის მშენებელთა?

გთხოვთ, შესაძლებლობის შემთხვევაში აღნიშნული ინფორმაცია მოგვწოდოთ ელექტრონული ფორმით, ქვემოთ მითითებულ მისამართზე.

პატივისცემით,

სერგეი კვანაძე

მისამართი: თბილისი, ვაჟა-ფშაველას ქ. #15

საკონტაქტო პირი:

რეგისტრაცია:

მობ: 555 34 77 57 / e-mail: fatibakhtadze@gmail.com

